პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 დეკემბერი სამშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 286 (14890)

დღეს კრემლში გაიხსნება სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1970 წლის 7 დეკემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა“ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება „სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIV ყრილობა მოიწვიოს 1971 წლის 30 მარტს.

დასასრულ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ

ძირითადად მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეიტანოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის პროექტი და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

სკკპ XXIV ყრილობის მოწვევის თარიღის შესახებ

მოწვეულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIV ყრილობა 1971 წლის 30 მარტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფი საქართველოდან წითელ მოედანზე.

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა. (საკადრო (მიღებულია საქმის ფოტოტელეგრაფით).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

7 დეკემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. განიხილეს სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიასთან დაკავშირებული საკითხები.

პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო საგეგმო-საბიუჯეტო კომისიების თავმჯდომარეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივმა კომისიებმა წინასწარ განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი გეგმა და ბიუჯეტი და კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიების დასკვნები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამო.

პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სოფლის მეურნეობის, საკანონმდებლო განზრახულობათა, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და საწვავ მასალათა მრეწველობის, ბუნების დაცვის კომისიების მასალები საზოგადოებრიობის მიერ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წესის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის განხილვის შედეგების შესახებ. პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო ინფორმაცია ამ საკითხზე, რომელიც წარმოადგინეს ამ კომისიათა თავმჯდომარეებმა.

სხდომაზე განხილეს აგრეთვე სხვა საკითხები.

სხდომას თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი. (საკადრო).

ყველაზე დიდი უკრაინაში

პოლონეთს ფაიფურის ქარხანაში საეკსპლოატაციოდ გადასცეს ახალი სიმძლავრეები. ეს ქარხანა გახდა ჩაისა და ყავის ჭურჭლის ყველაზე დიდი საწარმო უკრაინაში. იგი წელიწადში უშვებს 29 მილიონ ნაკეთობას.

ხუთწლედის მანძილზე ქვეყნის ფაიფურის მრეწველობის ეს ერთ-ერთი უძველესი საწარმო რეკონსტრუირებულია. აქ აშენდა ახალი კორპუსები, დიდმწარმოებლური საგვირაბე ღუმელები, დამონტაჟებულია მძლავრი ავტომატური ხაზები. (საკადრო კორ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად საზოგადოებრიობის დარაზმვის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობის საკითხი და მიიღო შესაბამისი დადგენილება. ბიურომ დაავალა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის სსრ, აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უმაღლეს სასამართლოს, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული ჟურნალ-გაზეთების redაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, ბეჭდვითი სიტყვის, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტებს, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს, რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნას“:

რამდენადაც მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაძლიერება ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანა და კომუნისტური მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულების პუნქტებელი პირობაა, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებით მკვეთრად გაადიდონ სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის ინტენსივობა და გაუუჯობესონ მისი ხარისხი რესპუბლიკაში, მთლიანად დაუქვემდებარონ იგი სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანას: ძირეულად გაუუჯობესონ მუშაობა საბჭოთა სახელმწიფოს კანონებისადმი დიდი პატივისცემის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის, განავითარონ და სრულყონ მასების სამართლებრივი განათლება, მიაღწიონ მშრომელების, მთელი საზოგადოებრიობის დარაზმვასა და მაღალ აქტივობას დანაშაულებრივ და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში; მთავარი ყურადღება დაუთმონ იმ ღონისძიებათა განხორციელებასა და პროპაგანდას, რომელთა მიზანია სამართალდარღვევათა თავიდან აცილება და პროფილაქტიკა, მოქალაქეთა აღზრდა მეერთამემბოლისადმი, სოციალისტური საკუთრების დაცვებისადმი, მუქთახორობისადმი, ცალკეულ პირთა ანტისაზოგადოებრივი საქციელისა და ცხოვრების წესისადმი შეურიგებლობისა და მათ წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის სულისკვეთებით; უფრო ფართოდ გაშუქონ ისეთი საკითხები, როგორიცაა სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, მათი მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, ცალკეული დეპუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა ამ მიმართულებით, სისტემატურად განაზოგადონ და გაავრცელონ მუშაობის მოწინავე გამოცდილება; ქმედითი პროპაგანდა გაუწიონ რესპუბლიკაში გაჩაღებულ შეჯიბრებას სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის სოფლის, მიკრორაიონის, რაიონის წოდებისათვის;

უფრო სისტემატურად და კვალიფიციურად გააშუქონ შინაგან საქმეთა ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის საქმიანობა დამნაშავეობასა და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებთან ბრძოლაში, უფრო მწვავედ გააკრიტიკონ მათი მუშაობის ნაკლოვანებანი;

უნარიანად წარმართონ საზოგადოებრივი ზემოქმედება თვითეული სამართალდამრღვევისათვის ოჯახის, კოლექტივის, სკოლის პასუხისმგებლობის ამაღლებაზე; ყოველნაირად გაუწიონ პროპაგანდა მოქალაქეთა აქტივობას კანონის დაცვაში, უზრუნველყონ, რომ საზოგადოებამ უაღრესად ფართოდ დაუჭიროს მხარი მოქალაქეებს, რომლებიც ამხილებენ მექრთამეებს, სახალხო დოვლათის დამტაცებლებს, აქტიურად ებრძვიან სამართალდარღვევებს;

უზრუნველყონ სახელმწიფო და საზოგადო მმართველობის ორგანოთა ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის ფართო საჯაროობა, ამასთან გადაჭრით გამოავლინონ დარღვევები და ნაკლოვანებანი ცალკეულ სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და დაწესებულებათა საქმიანობაში, განსაკუთრებით გულგრილობის, ბიუროკრატიზმის, უყაირათობის ფაქტები და სხვ; გამოაქვეყნონ მეტი მწვავე კრიტიკული მასალები სამსახურებრივ საქმიანობაში დაშვებული დარღვევებისათვის ხელმძღვანელი კადრებისა და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხებზე;

განახორციელონ სამართლებრივ პროპაგანდა მისი გულდასმით დაგეგმვის საფუძველზე ისე, რომ უზრუნველყონ აღნიშნული პრობლემების ყოველმხრივი - და მიზანსწრაფული გაშუქება.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან ბრეჟნევი პარტიული ორგანიზაციების, უწყებათა, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელობის მუშაობა წარმართონ იმისათვის, რომ ფართოდ გამოიყენონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა ფორმა, განსაკუთრებით კედლის პრესა, ადგილობრივი რადიო-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

მაღალი ჯილდო

დიდი წარმატებებისათვის, რომლებიც ოლქის მშრომელებმა მოიპოვეს სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის დარგების განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩელიაბინსკის ოლქი დაჯილდოვა ლენინის ორდენით.

დიდი წარმატებებისათვის, რომლებიც ქალაქის მშრომელებმა მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სამრეწველო წარმოების, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის დარგების განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ქალაქი ლენინის ორდენით დაჯილდოვა ლენინის ორდენით.

დიდი წარმატებებისათვის, რომლებიც ქალაქის მშრომელებმა მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სამრეწველო წარმოების, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის დარგების განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ქალაქი ოზონის ორდენით დაჯილდოვა ლენინის ორდენით.

წარმატებებისათვის, რომლებიც ქალაქის მშრომელებმა მოიპოვეს სამრეწველო წარმოების განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ქალაქი გორელი დაჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით.

(საკადრო).

ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო საინჟინრო აკადემიას — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი

მაღალკვალიფიციურ მეთაურთა, ინჟინერთა, მეცნიერ-პედაგოგთა კადრების მომზადებაში, სამხედრო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო საინჟინრო აკადემია დაჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

(საკადრო).

ამხ. ე. ა. ფურცევა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ამხ. ეკატერინე ალექსის ასული ფურცევა დაჯილდოვა ლენინის ორდენით. (საკადრო).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად საზოგადოებრიობის დარაზმვის ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

კვანძები, თვალსაჩინო აგიტაცია, ლექციური პროპაგანდა საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მიზნით; გაითვალისწინონ კანონმდებლობისა და სამართლის საფუძვლების შესწავლა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა მუშაკების გადასამზადებელი მუდმივმოქმედი კურსების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში; მოაწყონ ლექციები და სპეციალური სემინარები სამართლებრივ თემებზე მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში, პარტიულ-სამეურნეო აქტივის საქალაქო და რაიონულ სკოლებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ უარჩია საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებსა და მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს განახორციელონ ღონისძიებანი სამართლებრივი კულტურის ასამაღლებლად მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საბინაო და კომუნალური ორგანოების, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში, რომელთა საქმიანობა უშუალოდ შეეხება მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს; უზრუნველყონ, რომ ადგილობრივი ორგანოების სამართლებრივი აქტები ზუსტად შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, გაუმჯობესონ მოსახლეობის ინფორმირება მიღებული კანონებისა და დადგენილებების შესახებ, განახორციელონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ სამართლის პროპაგანდასა და დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებაში უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, მათმა მუდმივმა კომისიებმა, აღმასრულებელმა კომიტეტებმა და დეპუტატებმა.

დადგენილება ავალებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და განახორციელოს ხელმძღვანელი საბჭოთა და სამეურნეო კადრების იურიდიული ცოდნის ამაღლების ღონისძიებანი, უზრუნველყოს, რომ მათ შეითვისონ საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლები, თანამდებობრივ და სამეურნეო დანაშაულთა პროფილაქტიკის ჩვევები, განსაკუთრებით სოციალისტური საკუთრების ხელყოფის თავიდან აცილების ნაწილში, უზრუნველყონ მათი აქტიური მონაწილეობა კანონის პროპაგანდაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს კლუბებში, კულტურის სახლებში, სსსკ-ის საწარმოებში მოაწყოს იურიდიული კონსულტაციები საზოგადოებრივ საწყისებზე, ჩაბას ამაში მეცნიერები, აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, საბჭოთა და პროფკავშირული აქტივი. საჭიროა რესპუბლიკურ აპარატში შეიქმნას გამსჭვალული ლექტორიუმი სამართლებრივ საკითხებზე, უზრუნველყოს მისი წევრების სისტემატური გამოსვლა შრომითს, საბინაო, ოჯახის და სამართლის სხვა საკითხებზე, პროფკავშირული აქტივისა და მშრომელთა წინაშე; რეგულარულად მოაწყოს უშუალოდ მშრომელთა კოლექტივებში შრომითი კანონმდებლობის დარღვევების შესახებ საჩივართა და განცხადებათა განხილვა, აცნობის მათ, თუ რა ღონისძიებანი განხორციელდა კონკრეტული პირების მიმართ, რომლებმაც ასეთი დარღვევები დაუშვეს.

საქართველოს აღკაკ ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა განსაზღვროს კონკრეტული ღონისძიებანი კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სამართლებრივი ცოდნის გაფართოებისათვის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე მათი მაღალი პასუხისმგებლობის დანერგვისათვის, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისა და წესების უფუო დაცვის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდისათვის. ძირეულად უნდა გავაუმჯობესოთ ამ მიმართულებით სალექციო პროპაგანდა, ახალგაზრდობის გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციების, ძირეული კომკავშირული პრესის, განსაკუთრებით სატირული ფურცლებისა და ფოტოგაზეთების საქმიანობა, მოვაწყოთ კანონმდებლობის საუკეთესოდ შესწავლა პარტიული განათლების ქსელში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უმაღლესი სასამართლო მართლწესრიგისა და მართლმსაჯულების უზრუნველყოფისათვის, მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვისათვის მოელი თავისი პრაქტიკული საქმიანობით მოვალენი არიან ჩაუნერგონ მშრომელებს ღრმა პატივისცემა საბჭოთა კანონებისადმი, დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა, ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლები ყოველდღიურად და აქტიურად მონაწილეობდნენ სამართლებრივი პროპაგანდის ორგანიზაციასა და განხორციელებაში; საჭიროა უზრუნველვყოთ იუსტიციის მუშაკთა სისტემატური გამოსვლა პრესაში, რადიოთი, ტელევიზიით კანონის პროპაგანდის სამართალდამრღვევებთან ბრძოლის გაძლიერების აქტუალურ საკითხებზე, რეგულარულად მოვაწყოთ და ფართოდ გავაშუქოთ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეთა საჩვენებელი პროცესები, ძირეულად გავაუმჯობესოთ სასამართლოების გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, უფრო ხშირად მოვაწყოთ კითხვა-პასუხის საღამოები სამართლებრივ თემებზე; მრავალფეროვანი გავხადოთ სამართლებრივი პროპაგანდის ფორმები, ყოველნაირად ავამაღლოთ მათი ეფექტიანობა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ეკისრება მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს და ეფექტიანობა ამაღლოს ადგილობრივი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და მოსახლეობაში კანონმდებლობის განმარტებისათვის.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს რეკომენდაცია მიეცა შექმნას სამართლისა და მორალის პრობლემების სექციები; პრესის მუშაკებისათვის, რომლებიც სამართლებრივი პროპაგანდის საკითხებზე მუშაობენ, რეგულარულად მოაწყოს სემინარები საბჭოთა კანონმდებლობისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი სამართლებრივი საკითხების ყოველნაირად და კვალიფიციურად გაშუქებას მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში.

რედაქციებს რეკომენდაცია მიეცათ გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე შემოიღონ სპეციალური განყოფილებები და რუბრიკები სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე, პრაქტიკულად დანერგონ მშრომელთა წერილების მიმოხილვების მომზადება ყველა აქტუალურ სამართლებრივი პრობლემებზე, გაგზავნონ ეს მიმოხილვები ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებში საჭირო ღონისძიებების მისაღებად.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებში სამართლისა და მორალის უტბატო განყოფილებანი.

რესპუბლიკური საზოგადოების „ცოდნის“ გამგეობას წინადადება მიეცა გააქტიუროს საბჭოთა სამართლის პროპაგანდა, გააფართოოს ლექტორიუმების, სახალხო უნივერსიტეტებისა და სამართლებრივი ცოდნის ფაკულტეტების ქსელი, უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის მეცნიერულ-პოპულარული ბროშურებისა და ლექციების გამოშვება საბჭოთა კანონმდებლობისა და მართლწესრიგის განმტკიცების აქტუალურ საკითხებზე, აგრეთვე მეთოდიკური სახელმძღვანელოების გამოშვება იმ ლექტორთა და პროპაგანდისტთა დასახმარებლად, რომლებიც სამართლებრივ თემებზე გამოდიან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს ბიურომ დაავალა გაადიდოს იურიდიული ლიტერატურის გამოშვება სამართლისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე. რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით უნდა გადიდდეს გამოშვება და ხელახლა გამოიცეს სამართლის სხვადასხვა დარგის კოდექსები და მათი მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარები, იურიდიული ლექსიკონი, სამართლის ცნობარები პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებისათვის, მეცნიერულ-პოპულარული ბროშურების სერია სამართლისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე. მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვ ის, და ა. შ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი იმისათვის, რომ გაადიდოს ჟამოშვება, გაქირავება და რეგულარულად მოაწყოს მხატვრული, დოკუმენტური და ქრონიკალური კინოფილმების, კინოჟურნალებისა და ცალკეული კინოსიუჟეტების თემატური კინოფესტივალები, რომლებიც ასახავენ სოციალისტური კანონმდებლობის არსს, სამართლისა და კომუნისტური ზნეობის ნორმების ზუსტად დაცვის საკითხებს, უნერგავენ მშრომელებს შეურიგებლობას საბჭოთა კანონების დარღვევისადმი.

ამ კომიტეტში შეიქმნა სამართლებრივი პროპაგანდის სამხატვრო-სარედაქციო საბჭო, ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიაში კი ყოველკვარტალური კინოჟურნალი „ადამიანი და კანონის“ რედაქცია.

ბიურომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დაავალა განახორციელოს ღონისძიებანი იმისათვის, რომ უფრო ფართოდ აისახოს ხელოვნების ნაწარმოებებში მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სოციალისტური საზოგადოების კანონებისა და ნორმების გაუნურჩევად დაცვის დანერგვის პრობლემები; გაითვალისწინოს იმ სპეციალისტისა და კონცერტების შეტანა თეატრებისა და მხატვრული კოლექტივების რეპერტუარებში, რომლებიც მწვავედ აკრიტიკებენ და ამხილებენ მეჭრთამეებს, სახალხო დოვლათის დამტაცებლებს, ბიუროკრატებსა და საბჭოთა კანონების სხვა დამრღვევთ; უზრუნველყოს ამ სპექტაკლებისა და კონცერტების მაღალი იდეური და მხატვრული დონე.

რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების გამგეობებს რეკომენდაცია მიეცათ განიხილონ ის საკითხი, რომ მწერლებმა, დრამატურგებმა, კინემატოგრაფისტებმა და შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებმა გააძლიერონ ყურადღება მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების ამოცანებისადმი, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესებისათვის; უზრუნველყონ სტუდენტთა და მოსწავლეთა სამართლებრივი კულტურის ამაღლება, ახალგაზრდობის მიერ სოციალისტური საზოგადოების კანონებისა და ნორმების შეგნებული დაცვა.

(საქდესი).

საუბარი თემაზე:

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა კომუნისტური კარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანაა.

კომუნისტური საზოგადოების აშენება, როგორც ეს სკკპ პროგრამაშია მითითებული, დაკავშირებულია სამი დიდი და რთული პრობლემის კომპლექსურ გადაჭრასთან. ეს პრობლემებია: კომუნიზმის მატერიალურ ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმირება და მშრომელთა კომუნისტური აღზრდა. ამაოგან გადამწყვეტია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იქმნება სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სწრაფი განვითარების, განმტკიცებისა და ყოველმხრივი სრულყოფის გზით. პირველი თავისი მასშტაბებითა და ტექნიკური დონით, მეორესთან შედარებით, მნიშვნელოვნად მეტია. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაბატონებული ისეთი მაღალმექანიზებული და ავტომატიზებული წარმოებითი ამარატი, რომელსაც თავისი მოცულობითა და ტექნიკური დონით შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოებრივი შრომის უმაღლესი ნაყოფიერება, მატერიალური დოვლათის სიუხვე და მოთხოვნილების მიხედვით განაწილებაზე თანდათანობით გადასვლა.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განვითარების პრობლემა მეცნიერულად არის დამუშავებული ვ. ი. ლენინის შრომებში, პარტიის პროგრამაში, სკკპ ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში.

სკკპ პროგრამაში ჩამოთვლილია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც გვიჩვენებენ ამ ბაზის აშენების ძირითად გზებს. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, — ნათქვამია ამ დოკუმენტში, — „ნიშნავს: ჩვენი ქვეყნის სრულ ელექტრიფიკაციას და ამ საფუძველზე ტექნიკის სრულყოფას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას, მათს სულ უფრო სრულ ავტომატიზაციას; ქიმიის ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში. წარმოების ახალი, ეკონომიურად ეფექტური დარგების, ახალ სახეობათა ენერგიისა და მასალების ყოველმხრივ განვითარებას; ბუნებრივი მატერიალური და შრომითი რესურსების ყოველმხრივ და რაციონალურ გამოყენებას, წარმოებასთან მეცნიერების ორგანულად შეერთებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფ ტემპებს; მშრომელთა მაღალ კულტურულ-ტექნიკურ დონეს, მნიშვნელოვან უპირატესობას ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით შრომის ნაყოფიერების მხრივ, რაც კომუნისტური წყობილების გამარჯვების უნიმეველოვანესი პირობაა“.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმირება და მშრომელთა კომუნისტური აღზრდა. ამაოგან გადამწყვეტია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

მთავარი ეკონომიური ამოცანა

წერილი მეორე

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ეშენების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა ქვეყნის მთლიანი ელექტრიფიკაციის განხორციელება. ელექტრობა თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკური ბაზაა. სახალხო მეურნეობის ზოგიერთი ახალი დარგის (ელექტრომეტალურგიის, ელექტროქიმიის, აგრეთვე ლითონდამუშავების თანამედროვე მეთოდების) განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ელექტროენერგიის საფუძველზე. წარმოების სისტემატური, განუხრელი ტექნიკური სრულყოფა, თანამედროვე მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარება და მისი სხვა დარგებში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში, გადატანა პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენებასთან.

სკკპ პროგრამაში ნათქვამია, რომ კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის მშენებლობის ღერძს წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ელექტრიფიკაცია. დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი ლენინური ფორმულა: „კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება ალუს ტექნიკური პროგრესის განხორციელებისათვის.

წარმოების მექანიზაციაში სსრ კავშირმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ამჟამად ჩვენს სახალხო მეურნეობაში შრომატევად და მძიმე სამუშაოთა მექანიზაცია დამთავრებულია ან მათი მთელი რიგი პროცესები ძალზე ახლოს არის დამთავრებასთან. სწორედ ამიტომ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში მითითებულია წარმოებითი პროცესების კომპლექსური მექანიზაციის მტკიცე ეტაპის განხორციელება, ხელით შრომის ხვედრითი წონის თანმიმდევრული შემცირება, რაც განუხრელად ტარდება ცხოვრებაში.

ჩვენს სახალხო მეურნეობაში ფართოდ ინერგება ავტომატიზაცია. მაგალითად, ამჟამად მთელი წარმოებული თუჯისა და ფოლადის 90 პროცენტზე მეტი ბრძმედებსა და მარტენის ავტომატიზებულ ღუმელებში დნება. მანქანათმშენებლობაში განსრულად იზრდება ავტომატური და ნახევრადავტომატური, აგრეთვე ავტომატური საკონტროლო-საზომი აპარატურის პარკი. ავტომატურმა მოწყობილობამ ფართო გამოყენება ჰპოვა ქიმიის, ქაღალდის, ნავთობდამამუშავებელი და სხვა დარგების მრეწველობაში. „ამ მიმართულებით ... [illegible] ... ტრი წუაროს რაიონული პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი [illegible] ... ლი ... ნ. ... ; ... ; ... ;

მსოფლიო ღონე

მსოფლიო პრესა ბერლინის თათბირის შესახებ

ერთიანობა და შეკავშირება

ბერლინი. „მშვიდობისა და უშიშროების პროგრამა“, „მოქმედების ერთიანობა მშვიდობის ინტერესებისათვის“ — ასეთი სათაურებით „ნოიეს დოიჩლანდი“, „ნაციონალ-ცეიტუნგი“, „ბაუერნ ეხო“ და სხვა გაზეთები აქვეყნებენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო თათბირის შედეგების კომენტარებს.

„ნოიეს დოიჩლანდი“ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე ქვეყნების თანამიმდევრულმა, სამშვიდობო პოლიტიკამ ხელი შეუწყო ევროპის კონტინენტის ვითარების გაჯანსაღებას.

გაზეთი წერს, რომ სსრ კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა არაერთგზის გამოიჩინეს ინიციატივა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, ამასთან წამოაყენეს კონსტრუქციული, ხალხის ინტერესების შესაბამისი წინადადებანი.

ბუდაპეშტი. „ნეპსაბადშაგი“ საერთაშორისო ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენას უწოდებს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირს.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, თათბირის მიერ მიღებული დოკუმენტები სახავენ იმ პრობლემების გადაჭრის გზას, რომლებიც აწუხებთ მშვიდობისმოყვარე ძალებს.

განცხადებაში ევროპის უშიშროების განმტკიცებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე, წერს „ნეპსაბადშაგი“, აღნიშნულია, რომ ამ ბოლო დროს ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში სულ უფრო მეტად იკაფავს გზას დაძაბულობის შენელებისა და ფართო კეთილმეზობლური თანამშრომლობის ტენდენცია. ყველაზე მეტად სწორედ ეს აშფოთებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, წერს გაზეთი. ვაშინგტონის აზრით, დაძაბულობის შენელების პროცესი ძირს უთხრის ნატოს — ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის პრესას ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირი მიაჩნია ახალ ღონისძიებად, რომელიც ხელს უწყობს ევროპის კონტინენტზე უშიშროებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

მოძმე ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელებმა, აღნიშნავს გაზეთი „პრაცა“, **გადაჭრით გაილაშქრეს იმპერიალისტური ძალების ხრიკების წინააღმდეგ, გამოიჩინეს მხურვალე მხარდაჭერა ახალი ინიციატივებისადმი, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სუვერენიტეტისათვის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის მებრძოლი ხალხების ინტერესებს.**

ბელგრადი. ბელგრადის გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირის და მის მიერ მიღებულ დოკუმენტებს.

„პოლიტიკა“ ხაზს უსვამს, რომ „ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე შვიდი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეების თათბირზე მიღებული ოთხი დოკუმენტიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის მომავალი ურთიერთობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს განცხადებას ევროპის უშიშროებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის შესახებ“.

გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ბერლინის შეხვედრის დოკუმენტებში ხაზგასმულია სოლიდარობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკასთან და აღნიშნულია, რომ მისი მონაწილეობის გარეშე საძირკველი ვერ ჩაეყრება ჩვენი კონტინენტის სტაბილურ მშვიდობას.

ბეირუთი. „ბერლინის თათბირის დოკუმენტებმა, — წერს ლიბანის გაზეთი „ან-ნიდა“, — კვლავ დაადასტურეს, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები გადამწყვეტი ძალაა საერთაშორისო ასპარეზზე, თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა საბოლოო გამარჯვების ქმედითი გარანტიაა“.

თათბირის შედეგები, აცხადებს გაზეთი, მოწმობენ აგრეთვე, რომ სოციალისტური ქვეყნები საბჭოთა კავშირის მეთაურობით ისრაელის აგრესორთა წინააღმდეგ მებრძოლი არაბი ხალხების გულწრფელი მეგობრები არიან. (საკდესი).

გმოგენ აგრესორს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე

ნიუ-იორკი. 7 დეკემბერი. (საკდესი). **უშიშროების საბჭო კვლავ განიხილავს საკითხს აგრესიის იმ დანაშაულებრივი აქტის შესახებ, რომელიც პორტუგალიამ ჩაიდინა დამოუკიდებელი გვინეის რესპუბლიკის წინააღმდეგ.**

16 ორატორმა მოითხოვა სიტყვა, რათა გულის წყრომით ემხილებინათ აგრესორი, რომლის დაცვა ამჯერად ვერ გაბედა ვერც ერთმა მისმა მოკავშირემ, იმდენად დამაჯერებელი იყო უშიშროების საბჭოს სპეციალური მისიის მოხსენებასა და მთელ რიგ წარმომადგენელთა გამოსვლებში მოყვანილი ფაქტები.

სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. მალიკმა თქვა, რომ საბჭოთა დელეგაცია სავსებით იზიარებს სხდომაზე გამოსულ აფრიკის ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენლის მთავარ აზრს, რომ ნატოს სამხედრო ბლოკის წევრის — პორტუგალიის შეიარაღებული თავდასხმა გვინეაზე მთელ აფრიკაზე თავდასხმაა.

იმპერიალისტური აგრესია გვინეის წინააღმდეგ, თქვა ი. მალიკმა, ცხადყოფს, რომ აუცილებლად საჭიროა კოლონიური და რასისტული რეჟიმების რაც შეიძლება სწრაფი და სრული ლიკვიდაცია, იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელსაც კოლონიალიზმი უქმნის აფრიკელ ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

საბჭოთა დელეგაციამ მხარი დაუჭირა აფრიკელ ორატორთა მოთხოვნას, რომ პორტუგალიას აანაზღაურებინონ გვინეის რესპუბლიკისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი.

ნიუ-იორკი. 7 დეკემბერი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა განიხილა პალესტინელ ლტოლვილთა დახმარებისა და სამუშაოთა ორგანიზაციისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლო აღმოსავლეთის საარგენტოს საქმიანობის საკითხი.**

საარგენტოს საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის განხილვის დროს მკაცრად დაგმეს ისრაელის აგრესიული პოლიტიკა, რომლის მიზეზითაც წარმოიშვა საერთოდ პალესტინელ ლტოლვილთა პრობლემა.

კომიტეტმა ხმის უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელიც ხაზს უსვამს პალესტინის ხალხის თვითგამორკვევის განუყოფელ უფლებას, რომლის არსებობა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების აუცილებელი პირობაა.

რეზოლუციას ხმა მისცა 46 დელეგატმა, წინააღმდეგ — 19-მა, 36-მა თავი შეიკავა. იმათ შორის, ვინც ხმა მისცა წინააღმდეგ, ძირითადად იყვნენ დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები.

სხდომაზე მიიღეს აგრეთვე რეზოლუცია, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მოუწოდებს მეტი დახმარება გაუწიონ ლტოლვილებს, და რეზოლუცია, რომელიც იწონებს ახლო აღმოსავლეთის საარგენტოს საქმიანობას.

ფაქტები

...

● **ბონი.** (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტების სახელები უწოდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი ქალაქის — ოდერის ფრანკფურტის მთელ რიგ ქუჩებს. ამიერიდან იური გაგარინის, ვლადიმერ კომაროვის, ვალენტინა ტერეშკოვას, პავლე ბელაიევისა და ალექსი ლეონოვის სახელობის ქუჩები მუდამ მოაგონებენ ქალაქის მცხოვრებლებსა და მის მრავალ სტუმარს კოსმოსის პირველ დამპყრობლებს.

სრული გამარჯვება

● **კონაკრი.** (საკდესი). გვინეის დედაქალაქის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, პორტუგალიის ამასწინანდელი აგრესიის კვალი თითქმის წაიშალა, განახლდა ნორმალური მუშაობა კონაკრის საწარმოებსა და დაწესებულებებში. კონაკრის რადიომ გადასცა გვინეის დემოკრატიული პარტიის პოლიტბიუროს კომუნიკე, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „რევოლუციამ სრული გამარჯვება მოიპოვა იმპერიალიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ“.

საკავშირო შეთანხმება

● **რაგალაინდი.** (საკდესი). ინდოეთში წარმატებით დამთავრდა საბჭოთა კავშირ-პაკისტანის საკავშირო მოლაპარაკება, რომლის შედეგად ხელი მოაწერეს „ორი ქვეყნის 1971-1975 წლების საქონელბრუნვის შეთანხმებას.

...

● **რაგალაინდი.** (საკდესი). ინდოეთში ...

...

● **ბონი.** (საკდესი). ...

...

● **ბონი.** (საკდესი). ...

...

● **ბონი.** (საკდესი).

დღეს საქართველოს რაიონებში

გვიპატიჟებენ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი მ. გორგილაძე

ხელვაჩაური

რაიონულმა ცენტრმა მისამართი შეიცვალა

იგზავნება საზღვარგარეთ

ერთი კოლმეურნეობის ციტრუსოვანთა ბაღებში

ხიდი ჭოროხზე

ათასობით დამსვენებელი

● **მოასფალტებული** გზა ევკალიპტების დაბურულ ხეივანს მისდევს, მარჯვნივ და მარცხნივ ციტრუსის ბაღებია გაშენებული, გამრჯე მარჯვენას მოუხატავს მიწის ყოველი მტკაველი. განიერ ტრასაზე განუწყვეტელი მოძრაობაა. ეს გზა აჭარის მთის რაიონებისაკენ მიდის.

სოფელ ხელვაჩაურში როგორც კი შეხვალთ, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს თეთრად მოკირწყლული მრავალსართულიანი შენობები. ადრინდელი აქ მხოლოდ ციტრუსების შემფუთავი ქარხანა და ჩაის ფაბრიკაა. ბოლო წლებში კი აშენდა ბინათმშენებლობის კომბინატი, ინერტული მასალის ქარხანა, რესტორანი, უნივერმაღი, საშუალო სკოლის ახალი შენობა. შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, წელს — პარტიის რაიკომის, რაიაღმასკომის, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული დაწესებულებების შენობები.

ხელვაჩაური რაიონში ერთ-ერთი დიდი სოფელია, იგი ტერიტორიულადაც ყოფილი ბათუმის რაიონის ცენტრში მდებარეობს. ამნაც განსაზღვრა, რომ **ბათუმის რაიონს დარქმეოდა ხელვაჩაურის რაიონი.**

● **სალიბაურის** ჩაის ფაბრიკა ერთ-ერთი ვეტერანი საწარმოა აჭარაში. მას 80 წლის ისტორია აქვს, ხოლო ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკა საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. ორივე ფაბრიკამ სახელი გაითქვა ჩაის დამუშავების მაღალი ტექნოლოგიური პროცესებით. შემთხვევითი როდია, რომ მათი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი საექსპორტო დანიშნულებისაა.

ჩაის გარდა ხელვაჩაურიდან ფინეთში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში დიდი რაოდენობით იგზავნება აგრეთვე ციტრუსები.

● **ურეხის** კოლმეურნეობაში წლეულს ციტრუსების უხვი მოსავალია. ჩქარობენ მეციტრუსეები, რომ უდანაკარგოდ აიღონ ნაამაგარი. იკრიფება მანდარინი, იტვირთება მანქანები და ბაღებიდან პირდაპირ საფუთავ ქარხანაში იგზავნება.

მარტო მეზუთე ბრიგადას წელს გეგმით უნდა მოეკრიფა 30 ტონა ციტრუსები, მაგრამ მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა — მათ უკვე მოკრიფეს 50 ტონა და სეზონის დამთავრებამდე კიდევ 30 ტონა მანდარინს მოკრეფენ. ბრიგადაში ბევრია შრომის მოწინავე. მათ შორის გამოირჩევა ხკკპ წევრობის კანდიდატი ნათელა ჯაფარიძე. მს მოსავლელად ჩაბარებული ჰქონდა 0,8 ჰექტარი, რომელზეც გეგმით უნდა მოეკრიფა 8.000 კილოგრამი ნაყოფი. ნათელამ უკვე 6.000 კილოგრამი მოკრიფა და მოსავალი ჰექტარზე 20 ტონამდე გაზარდა.

● **ჭოროხის** ხეობა ერთ-ერთი ულამაზესია აჭარაში. მრავალი ფერადი მოხატული ტყეები, ჩაის პლანტაციები და ხეხილის ბაღები შეფენილა მდინარის ორივე მხარეს.

ჭოროხი მძლავრი და წყალუხვი მდინარეა. ამდენად ადვილი როდია ასეთ მდინარეზე ხიდის გადება. მიუხედავად ამისა მძლავრი მდინარე ბევრგან არის მთოთოკილი მტკიცე ჯებირითა და ტინის ბურჯებით.

სოფელ მირვეთში ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ხიდი, რითაც სოფელს გზა გაეხსნა მდინარის ორსავე მხარეს.

● **განსაკუთრებული** პოპულარობით სარგებლობს აჭარის შავიზღვისპირეთზე, ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე არსებული სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, რომლებიც ათასობით დამსვენებელს იზიდავენ. რესპუბლიკის ერთ-ერთ საუკეთესო ჯანმრთელობის კერად ითვლება სანატორიუმი „აჭარა“, რომლის კოშკი კორპუსები მწვანე კონცხის მარადმწვანე ფერდობებიდან გადაყურებენ უკიდეგანო ზღვას.

ამ დიდი პოპულარობის დამადასტურებელია სანატორიუმის კოლექტივის მიმართ გამოთქმული მადლობები, რომლებიც ჩაწერილია სანატორიუმის წიგნში. სანატორიუმი მრავალჯერ არის დაჯილდოებული გარდამავალი დროშებით, სპპ-ის სიგელებით, საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომებითა და ფულადი პრემიებით.



სურათზე: კურორტი მწვანე კონცხი. სანატორიუმ „აჭარის“ II კორპუსი.

ფოტო ს. ანთელოსი.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

მეგობრობის გზებით

ამას წინათ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩატარდა საბჭოთა კავშირის კულტურის დღეები, რომლებშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები. წარგზავნილთა შორის იყო საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. კავსაძის ხელმძღვანელობით. საკავშირო პრესამ აღნიშნა საბჭოთა მსახიობების, მუსიკოს-შემსრულებელთა დიდი წარმატება. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ზ. რცხილაძე შეხვდა საქართველოს კულტურის მინისტრს, საბჭოთა კავშირის ოფიციალური დელეგაციის წევრს ოთარ თაქთაქიშვილს და სთხოვა ეამბნა გაზეთის მკითხველთათვის ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა კულტურის დღეების ირგვლივ, ქართული ანსამბლის წვლილის შესახებ ამ დიდი ღონისძიების წარმატებაში.

პასუხობს მინისტრის ნაამბობს:

საუკეთესო ხელოვანთა შორის საუკეთესონი წარგზავნა ჩვენმა ქვეყანამ საბჭოთა კავშირის კულტურის დღეებზე ჩეხოსლოვაკიაში: სახელმწიფო აკადემიური რუსული გუნდი ა. სვეშნიკოვის ხელმძღვანელობით, მცირე თეატრის მსახიობთა ჯგუფი, ლენინგრადის კიროვის სახელობის საოპერო თეატრის საბალეტო დასი, დიდი თეატრის ცნობილი სოლისტები, ბეთჰოვენის სახელობის კვარტეტი, გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები ლ. კოგანი, რ. კერერი, ტ. ნიაზი, საბჭოთა კავშირის ხალხური ცეკვის ანსამბლი ი. მოისეევის ხელმძღვანელობით და საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. კავსაძის ხელმძღვანელობით.

პრაღას ჩვენი ქვეყნის კულტურის დღეებზე ესტუმრა საბჭოთა ოფიციალური დელეგაცია სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ვ. ა. ფურცევას ხელმძღვანელობით.

აეროდრომზე შეგვხვდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე მ. ლუჩანი, ჩეხიისა და სლოვაკიის კულტურის მინისტრები ნ. ბრუჟეკი და მ. ვალეკი, ოფიციალური პირნი, საბჭოთა კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ს. ჩერვონენკო.

ჩეხოსლოვაკიაში წარმატებით ჩატარებულა საბჭოთა კავშირის ცალკეული რესპუბლიკების: რსფსრ-ის, უკრაინის, საქართველოს, ესტონეთის ხელოვნებისა და კულტურის დღეები, მაგრამ ასეთი დიდი შეხვედრა საბჭოთა ხალხის კულტურასთან პირველი იყო. ამიტომ გასაგებია დიდი მოვალეობის გრძნობა და მისწრაფება ყველა მონაწილისა რაც შეიძლება შინაარსიანად და სრულყოფილად წარმოედგინათ თავიანთი ხალხის ხელოვნება.

პრაღაში პირველი დიდი კონცერტის შემდეგ საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებმა ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ქალაქისკენ აიღეს გეზი. პრაღასა და მაღაროელთა ცენტრში ოსტრავაში, ქიმიკოსთა ქალაქ პარდუბიცეში, ბრნოსა და პლზენში მასპინძლები ყველგან დიდ ინტერესს იჩენდნენ საბჭოთა ხელოვნების მიმართ.

საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილთა შორის იყვნენ ქართული ხელოვნების წარმომადგენლები. ზემოთნახსენებ კოლექტივებთან ერთად გამოსვლა ფრიად საპატიო და აშასთან ერთად უძნელესი ამოცანაა. საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ყველა წევრმა ეს მშვენივრად იცოდა. მით უმეტეს სასიხარულოა ის წარმატება, რომელსაც ქართველმა მსახიობებმა მიაღწიეს. 75-კაციანი ანსამბლი წარსდგა მსმენელთა წინაშე. აქ შეიძლება ერთი მცირე, მაგრამ მრავლისმეტყველი ფაქტი გავიხსენოთ. ანსამბლს 9 კონცერტი უნდა გაემართა. პირველივე გამოსვლებმა ქართულ ანსამბლს უდიდესი წარმატება მოუტანეს და მასპინძელთა თხოვნით გეგმით გაუთვალისწინებელი, დამატებითი კონცერტები გაიმართა. ეს იყო ხელოვნების, მეგობრობის ტრიუმფი. მსმენელთა აღფოთოვანებას თითქოს საზღვარი არა აქვსო, ტაში და შეძახილები, თაიგულები და ღიმილის ზღვა, აი ის, რაც მოიმკო ქართულმა ხელოვნებამ ჩეხოსლოვაკიის მიწაზე. ასეთია ქართული ხალხური ხელოვნების ძალა და ანდამატი.

იყო უამრავი შეხვედრა, სადაც ჩეხი და სლოვაკი მეგობრები სიყვარულით გამბობარი სიტყვებით მოგვმართავდნენ. ყველაზე ნიშანდობლივი ის არის, რომ ეს შეხვედრები უმეტესად იმპროვიზებულად, სახელდახელოდ, წინასწარ დაუგეგმავად იმართებოდა. ამ შეხვედრებში ახალ წრეობას, ახალ ნაყოფს პოულობდა ჩვენი ხალხების მეგობრობის გრძნობა, რომლის მეგზური ქართული სიმღერა და ცეკვა იყო. მასპინძლებს აინტერესებდათ რაც შეიძლება მეტი შეეტყოთ ქართველ ხალხზე, მის ბუნებაზე, ეროვნულ თვისებებზე, ზნეჩვეულებებზე, მის ადგილზე საბჭოთა ხალხების დიადი მეგობრობის ულამაზესი შენობის აგების საქმეში. სწორედ ასეთი საუბარი მქონდა ქალაქ კარდუბიცეს მშრომელებთან ქართული ანსამბლის კონცერტის დაწყების წინ.

საბჭოთა კავშირის ოფიციალური დელეგაცია მიიღო ჩესოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ. ჰკაც, პრეზიდენტსა და რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე წილად მხვდა მესაუბრა საბჭოთა საქართველოს, ქართველი ერის წარსულისა და აწმყოს, მისი კულტურის, ხელოვნების შესახებ.

ჩეხოსლოვაკიელები საქართველოს ეცნობოდნენ ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მეშვეობით. პლზენში, პრაღაში, პარდუბიცეში, ოსტრავაში, კოშიცეში, ბანსკა-ბისტრიცაში. ცვოლენში, ბანსკა-შტემნიცაში, ბრატისლავაში ღღერდა „ქართული მრავალფაფიერი“, „ოდოია“, „ხასანბეგურა“, „გუშინ შვიდნი...“. დარბაზი სულგანაბული უყურებდა ასხეპილი ბიჭების ცეცხლოვან ცეკვებს და მშვენიერ ასულთა ნარნარ მოძრაობას. „თამარ დედოფლის ფერხული“, „განდაგანა“ და „მოხეური“ დარბაზის ტაშისცემას იმიდა... რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვ. ნინიძე, ნ. მუზერიშვილი, მსახიობები ვ. ხიტირი, მ. ყანნავეული, რ. ვარდიაშვილი, გ. კვანტალიანი, ტ. მილაძე და სხვები მასპინძელთა წინაშე წარსდგნენ ქართული ცეკვის ოსტატებად, რომელთა გამოსვლა ერთ მთლიან, ცეცხლოვან, შინაარსიან სანახაობად შეკრა ანსამბლის ქორეოგრაფმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რ. ხონელიძემ. რიცა იხსენებთ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ი. ზაქაიძის, ა. ლანდიას, ახალგაზრდა შემსრულებელთა რ. მიქაბერიძის, დ. გარდაფხაძის, რ. ლომიძის, ვ. ტაბატაძის ეროვნული კოლორიტით სავსე ხელოვნებას, ეს დიდი წარმატება აღარ გაკვირვებთ და კანონზომიერად მიგაჩნიათ.

საგასტროლო წარმატების აღწერა ძნელია. ეს არ იყო მხოლოდ წარმატება ხელოვნებისა, არამედ უფრო რაღაც დიდი, რაც ხალხთა დაახლოების, მეგობრული ურთიერთობის შინაარსს ატარებს.

...პრაღის მუშათა რაიონში, ქარხანა „ელექტროტექნიკის“ სახელდახელოდ მოწყობილ ესტრადაზე ქართველები მდერიან. ფანჯრებიდან ჩანს, რომ ისინი, ვინც კონცერტს ვერ დაესწრნენ, ეზოში სულგანაბულნი დგანან და ქართულ სიმღერებს უსმენენ. კონცერტი დასასრულს უახლოვდება. ეს იმითაც იგრძნობა, რომ სცენაზე თაიგულები ვეღარ ეტევა... და ყველასთვის მოულოდნელად ერთ-ერთი მასპინძელი იწყებს ქართულ „სულიკოს“. დარბაზი უმალ ეხმაურება და ყველანი მღერიან, მღერიან მასპინძლებიც და სტუმრებიც, ეზოდან ბანი მოსცეს მუშებმა. მთელი ქარხანა ამღერდა.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელსაც საქართველოს სახალხო არტისტი ა. კავსაძე ხელმძღვანელობს, უკვე მეოთხე საზღვარგარეთულ ტურნეს ატარებს. თუ გავიხსენებთ, რომ საბჭოთა კულტურის დღეებში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები, ის წარმატება, რომელიც ხვდა ქართულ ანსამბლს, ერთიორად უფრო მნიშვნელოვნად გადაიქცევა.

ჩეხიის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი მ. ბრუჟეკი საბჭოთა კულტურის დღეებთან დაკავშირებით ამბობს: არის ხალხების ცხოვრებაში ისეთი მოვლენები, რომელთა სიმაღლიდან უფრო ღრმად ჩანს მომხდარი ამბავი, უფრო მკაფიოდ არჩევ პერსპექტივას. თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ჭეშმარიტი მეგობრობის დღეებს.

ამ სიტყვების მკაფიო დადასტურებაა ქართული ანსამბლის გამოსვლები ჩეხოსლოვაკიაში. სიმღერები, სიყვარული, მეგობრობა გზად და ხიდად, — ასეთია ანსამბლის გამოსვლების შედეგები. უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ, ეს არის ათასობით ახალი მეგობარი და კეთილისმსურველი.

ჩეხოსლოვაკიის პრესამ დიდი ადგილი დაუთმო ქართულ ხელოვნებას: „ქართველებმა მოხიბლეს მსმენელები“, „განსაცვიფრებელი მრავალხმიანობა“, „ნატიფი, დახვეწილი ხელოვნება“, „ბაკაასიური სენსაცია“, „ცეცხლოვანი ცეკვები“. ძნელია ყველა იმ ეპითეტის აქ გახსენება, რომლითაც ქებას ასხამდნენ ქართველ მომღერლებსა და მოცეკვავეებს.

დამთავრდა საბჭოთა კულტურის დღეები ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, მაგრამ დამთავრება არ უწერია იმ მეგობრულ განწყობილებას, რომელიც უფრო გაფართოვდა და გაიშალა საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა დახვეწილი გამოსვლებით. ამ დიდ საქმეში საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დიდი და საპატიო წვლილია.

• • •

სურათზე: გამოდის საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი.

ცსკა—ჩემპიონი

6 ტაიმი, 210 წუთი, 7 გოლი

მოსკოველი არმიელები გახდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები ფეხბურთში. ასეთ წარმატებას არმიის ცენტრალურმა სასპორტო კლუბმა მიაღწია 19 წლის შემდეგ. არმიელებს შორის, რომლებიც ტაშენტში ჩამოვიდნენ გადამწყვეტ შეხვედრაზე, ჩემპიონის ოქროს მედალი ჰქონდა მხოლოდ ვალენტინ ნიკოლაევს — გუნდის უფროს მწვრთნელს. ახლა მან გამარჯვება მოაპოვებინა თავის გუნდს.

...გადაწყვეტი პირველი ინტერვიუ მატჩის შემდეგ მიმეღო... დინამოელებისგან: „როდის იგრძენით დამარცხების საფრთხე?“

— როცა ანგარიში იყო 3:1 ჩვენს სასარგებლოდ,— თქვა ლევ იაშინმა.— ბიჭებს მოეჩვენათ, რომ საქმე გაკეთებულია, იერიშები ოდნავ შენელდა, ხოლო დაცვაში თავი ინიხა დაუდევრობის ნიშნებმა, „ბურთის თავიდან მოშორების“ განწყობილებამ. ყველაზე ნაკლებ მოუძღვის ბრალი ახალგაზრდა მეკარე პილგუის — იგი რამდენჯერმე დატოვეს თავის ანაბარად. დასანანებელი დაბოლოებაა! მაგრამ ფეხბურთში ისევე ხდება, როგორც ცხოვრებაში: არის ბედიც, არის წყენაც. დაე ეს მატჩი გაკვეთილი გახდეს ჩვენთვის.

—როდის ირწმუნეთ გამარჯვება?— შეეკითხე არმიელებს.

— ეს იყო ორჯერ, —გაიცახადა ალბერტ შესტერნიოვმა. — მეოთხემეტე წუთზე, როცა დუდარენკომ პირველი ბურთი გაიტანა დინამოელთა კარში, და სამოცდამეთერთმეტე წუთზე, როცა ფედოტოვმა, ანგარიში რომ იყო 3:1 მეტოქეების სასარგებლოდ, გაქვითა მეორე ბურთი.

— მე კი ცოტათი უფრო გვიან მივხვდი ამას, როცა დინამოელთა მცველებმა წამაქციეს საჯარიმო მოედანზე,— თქვა ფედოტოვმა. — ცოტა ხნით ადრე ისინი უფრო სუფთად თამაშობდნენ. მაშასადამე, მეტოქეებმა დაკარგეს რწმენა. ჩინებულად „დასაჯა“ ისინი პოლეკარპოვმა, რომელმაც ამ ნერვულ ვითარებაში იკისრა თერთმეტმეტრიანი საჯარიმოს დარტყმა.

— რას ფიქრობდა არმიელთა მეკარე?

— მე მუდამ მტანჯავდა ის, რომ ჩემმა ამხანაგებმა გამარჯვება დაიმსახურეს და ჩემი მიზეზით კარგავენ მას, — თქვა პშენინიკოვმა. — ჩემ მიერ გაშვებული მხოლოდ მეორე ბურთი შეიძლება ეპატიოს მეკარეს. პირველად და მესამედ ბურთი უნდა მომეგერიებინა.

— თქვენ შენიშნეთ, რომ როცა ანგარიში იყო 3:1, გამოსასვლელად ემზადებოდა სათადარიგო მეკარე?

—მადლობა მწვრთნელს: მან მანდო მატჩის დამთავრება, მე გავიფიქრე: დაე ბიჭებმა ანგარიში გაქვითონ, მერე კი შემიძლია დავტოვო მოედანი-მეთქი...

— რა იქნებოდა თერთმეტმეტრიანი დარტყმებით რომ გადაწყვეტილიყო შეხვედრის ბედი?

—კარგია, რომ ფედოტოვმა გაიტანა გადამწყვეტი ბურთი, და მე და პილგუის აგვცილდა ეს განსაცდელი.

— დიახ, იყო მომენტი, როცა ვფიქრობდით მეკარის შეცვლას, — დაადასტურა ნიკოლაევმა.—მაგრამ განა მარტო იგია დამნაშავე, რომ ბურთები გავიდა ჩვენს კარში? და გარდა ამისა, როცა აგებ, უნდა იფიქრო არა იმდენად დაცვაზე, რამდენადაც თავდასხმაზე. სწორედ იერიშის გასაძლიერებლად შემოვიყვანეთ ორივე ფეხბურთელი.

— თქვენ არ დაგიკარგავთ გამარჯვების იმედი?

— არა! მე მხარი დამიჭირეს ბიჭებმა: შესვენების დროს მე კი არა, ისინი მამშვიდებდნენ.

...ძალა, ტაქტიკა, ტექნიკა, სიჩქარე — ამაში გუნდები თანაბარი იყვნენ. არმიელებს უფრო მტკიცე ხასიათი აღმოაჩნდათ — ჩემპიონობის ხასიათი. წინა დღით, 5 დეკემბერს, პირველ დამატებითის მატჩში მეტოქეებმა ვერ გახსნეს ანგარიში — ვერც ძირითად, ვერც დამატებითს დროში. მეორე დამატებითმა მატჩმა არმიელებს მოუტანა გამარჯვება ანგარიშით 4:3 (1:3). „ვერცხლი“ დინამოელებს ერგოთ, „ბრინჯაო“ მოსკოველ სპარტაკელებს.

ე. ეფიმოვი,
საკდესის კორ.

ტაშკენტი.

* * *

ცსკას ფეხბურთელთა გუნდი. სხვადან (მარცხნიდან) ვლადიმერ დუდარენკო, ალბერტ შესტერნიოვი, იური ისტომინი, ვლადიმერ კაპუჩინი, ვლადიმერ ფედოტოვი, ვალენტინ უტკინი. დასაბა — უფროსი მწვრთნელი ვალენტინ ნიკოლაევი, იური პშენინიკოვი, ნიკოლოს დოლგოვი, ბორის კოპეიკინი, ვლადიმერ პოლიკარპოვი, ალექსანდრე კუზნეცოვი, ვლადიმერ ასტაპოვსკი, მარიან ტალიტკო, ვალენტინ აფონინი.

ფოტო ახალი ამბების სააგენტოსი.

„იზვესტიის“ პრიზზე

მოსკოვში დაიწყო დიდი საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი შაიბიან ჰოკეში გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე. მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, ფინეთის, პოლონეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

პირველი მატჩი საბჭოთა ნაკრებს ჰქონდა კვირას ფინეთის გუნდთან და გაიმარჯვა 8:3. ამავე დღეს ჩეხოსლოვაკიელებმა მოუგეს პოლონეთის გუნდს — 10:1.

„დინამო“ — ლიდერთა ხგუფში

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდები განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისათვის. კვირას შედგა მორიგი ტურის მატჩები.

თბილისის სპორტის სასახლეში თამაშობდნენ კიევის არმიის სასპორტო კლუბისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. დინამოელთა სასტარტო ხუთეულში იყვნენ — საკანდელიძე, მოსეშვილი, ქორქია, ბოლქვაძე, ჩიხლაძე. პირველი ორი ქულა მასპინძლებს ქორქიამ მოუტანა, ტაიმი კი ნული, მოიგეს ანგარიშით 36:33.

მართალია, მეორე ნახევრის დასაწყისში არმიელმა კალათბურთელებმა აღადგინეს წონასწორობა და ერთი ქულითაც კი იყვნენ წინ, მაგრამ მალე ისევ დინამოელები დაწინაურდნენ და გაიმარჯვეს 82:71. ყველაზე მეტი ქულა — 24 სტუმრების მოუტანა ჩიჩოურამ. დინამოელებიდან თავიანთ გუნდს 16-16 ქულა მოუტანეს ქორქიამ, მოსეშვილმა და ბოლქვაძემ.

ამრიგად, თბილისის „დინამომ“ 4 თამაშიდან 3 ქულა შეაგროვა და ლიდერთა ჯგუფში იმყოფება.

ამავე დღეს ცსკა-მ დაამარცხა მინსკის რადიოტექნიკის გუნდი ანგარიშით 79:72, ლენინგრადის „სპარტაკმა“ — რიგის ვეფი 85:71, კაუნასის „ყალგირისმა“ — კიევის „სტროიტელი“ 77:64.

ლარსენი ლიდერებს უახლოვდება

პალმა დე მალიორკაში გრძელდება ჭადრაკში მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ლიდერობენ საბჭოთა გროსმაისტერი ეფიმ გელერი და ამერიკელი რობერტ ფიშერი. 19 ტურის შემდეგ თვითეული მათგანს 12,5 ქულა აქვს. მაგრამ ფიშერის მდგომარეობა უკეთესია, რადგან გელერმა უკვე დამთავრა ყველა პარტია (მე-19 ტურში ყაიმზე შეუთანხმდა პანოს), მაშინ როცა ამერიკელს ორი შეხვედრა გადადებული აქვს. ერთი მე-14 ტურიდან მინიჩთან, მეორე — მეცხრამეტედან ტაიმანოვთან. ამ მეორე შეწყვეტილ შეხვედრაში ფიშერს უკეთესი მდგომარეობა აქვს. ეტლერის ენდშპილში მას ინიციატივა აქვს, მაშინ როცა ტაიმანოვი იძულებულია თავი დაიცვას.

ახლა მეორე შედეგი — 12 ქულა — აქვს ლარსენს, რომელმაც მორიგი პარტია მოუგო ნარანიას.

მესამე „პოზიცია“ უკავია საერთაშორისო ოსტატს, ჩრმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელს პოუნერს, რომელმაც მისთვის უკეთეს მდგომარეობაში გადადო პარტია უიტუშენთან. ახლა მას 11,5 ქულა აქვს.

მე-19 ტურის სხვა შედეგები ასეთია: რეშევსკიმ მოუგო პოლუგაევსკის, ყაიმზე შეთანხმდნენ ფილიპუულმანი, ადისონ-მინიჩი, გლიგორიჩი-ივკოვი. გადაიდო სათლუ-მეკინგის, ჰორტ-რუბინეტის, სმისლოვ-ხიმენესის, მატეუოფიჩ-ჰორტიმის შეხვედრები. (საკდესი).

ᲬᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲝᲓᲔᲡᲔᲚᲘ

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ რიგის საკავშირო ჩემპიონატზე გათამაშდა 8 ტური. მერვე ტურში ოდესელმა ოსტატმა პოდგაეცმა ციანტოზი მოუგო მოისეევს და დაეწია ლიდერს — მეორე ოდესელ მოჭადრაკეს ტუმაკოვს, რომელმაც ამავე ტურში უაიმით დაამთავრა შეხვედრა გიპსლისთან. ახლა ორივე ოდესელს 5,5-5,5 ქულა აქვს.

მიკენასმა მოუგო დოროშკევიჩს. ბაგიროვ-ანტოშინის, ვაგანიან-ხოლმოვის, შტეინ-დემენტიევისა და ზაიცევ-ხავონის პარტიებში აღინიშნა უაიმი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ᲩᲘᲠᲜᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ტურნეს მართავენ საზღვარგარეთ.

ჩვენი მსატვრული ტანმოვარჯიშეები წარმატებით გამოვიდნენ პოტსდამის საერთაშორისო ტურნირზე. მათ გამარჯვების კვარცხლბეკზე სამივე ადგილი დაიკავეს. უმაღლეს საფეხურზე ავიდა ა. ნაზმუტინოვა — 29,25 ქულა. მეორე იყო გ. შუგუროვა, მესამე — ა. ზასუხინა.

სპორტულმა ტანმოვარჯიშეებმა მონაწილეობა მიიღეს იაპონიის ქალაქ ნაგოიაში გამართულ ასპარეზობაში გაზეთ „ტუნეიტის“ პრიზზე. ქალთა შორის აქაც წარმატება საბჭოთა სპორტსმენებს — ბურდას, ლაზსკოვიჩსა და კორბუტს ხვდათ. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი იაპონელი ა. ნაკაიამა.

რამდენიმე სტრიქონით

● **ᲒᲔᲜᲣᲐᲖᲘ** „საბჭოთა კავშირის ჯარიანელზე“ მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი შეხვდა ადგილობრივ „სამპდორიას“ და დამარცხდა 0:1.

● **ᲕᲠᲜᲘᲐᲩᲯᲐ-ᲑᲐᲜᲘᲐᲨᲘ** გრძელდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის. გათამაშდა 4 ტური. ლიდერია ნანა ალექსანდრია, რომელსაც 3,5 ქულა აქვს.

● **ᲛᲝᲜᲐᲖᲘᲗᲐ** საკავშირო ჩემპიონატს, რომელიც ტალინში მიმდინარეობს, სამი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან ბანტვარი, მ. კორნოვი და ა. ნაზუტინოვა — 29,25 ქულა. მეორე იყო გ. შუგუროვა, მესამე — ა. ზასუხინა.

● ᲐᲓᲚᲛᲠᲘᲡ მიდამოებში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი ველოკროსში. წარმატება რსფსრ-ის ველომრბოლებს ხვდათ, რომლებმაც გაიმარჯვეს როგორც გუნდურ, ისე პირად ასპარეზობაში.

● **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** მატჩი ეთიოპიაში ეროოშილოგვრადის „ზარიას“ ფეხბურთელთა გუნდმა წააგო შოას პროვინციის ნაკრებთან 0:1.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამბ. ნ. ი. ღოღობერიძე დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის რედქოლეგია, პარტიული კომიტეტი და გაერთიანებული პროფკომი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი

მათე მიხეილის-ძე ალექსიშვილი

რედაქტორი

დ. მჟელლიშვილი.

თბილისელთა საყურადღებოდ!

საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო ტრანსპორტით ქ. თბილისისა და მისი გარეუბნების მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო ტრანსპორტის ყველა სახეობაზე (მეტრო, ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი, ტაქსი, საგარეუბნო რკინიგზა და საგარეუბნო ავტობუსი) ტარდება მგზავრთა ნაკადების გამოკვლევა.

ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება დიდად იქნება დამოკიდებული გამოკვლევის შედეგად მიღებული მასალების სისწორეზე.

ამიტომ მოგმართავთ თხოვნით ხელი შეუწყოთ ამ ღონისძიების წარმატებით ჩატარებას, დაიცვათ მგზავრობის წესები და ზუსტად შეასრულოთ აღმრიცხველების მითითებანი.

თბილისის მუნიციპალურ დეპარტამენტის საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

8 დეკემბერი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სატელევიზიო დადგმა „ვარშავული მელოდია“ (ცენტრალური ტელევიზიის ნაწარმოები), 13.10 — „მექიმთა დასახმარებლად“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — ბავშვებისათვის — „თბილისის ფერისცვლება“, 18.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ბუნების კარი“, 19.45 — კინონარკვევი, 19.55 — ახალგაზრდობისათვის — „დაზგისა და მერხის მეგობრები“, 20.25 — „საინტერესოა ვიცოდეთ“, 20.55 — „ხალხური ხელოვნების ოსტატები“, 21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.40 — მხატვრული ფილმი — „გაალვიძეთ მუსინი“.

9 დეკემბერი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სატელევიზიო ნარკვევი „მოსკოვი ერთბაშად არ აშენებულა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — მხატვრული ფილმი — „ვაალვიძეთ მუსინი!“, 17.00 — სკოლების დასახმარებლად. „თანამედროვის სახე უახლეს საბჭოთა ლიტერატურაში“, 18.05 — ახალი ამბები, 18.